



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 130/ს  
20/03/2023

130-21-4-202303201701



### **ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ**

შპს „ჯორჯია მეტალის“ (ს.კ. 430037239) მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „სამნის“ მიერ.

შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ წარმოდგენილი იყო აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შესაბამისად განსაზღვრული იქნა გზშ-ისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში ასახვის საშუალებები (ბრძანება N2-497 16.06.2020; სკოპინგის დასკვნა N52 10.06.2020).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 32.03.49.581; 32.03.49.046; 32.03.49.483). საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი შეადგენს 97 231 მ<sup>2</sup>-ს. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი მოსახლე დამორებულია 40 მ-ით, მეტალურგიული საწარმოს სადნობი ღუმელის გაფრქვევის მილიდან 425 მ-ით, გლინვის უბნის გამაცხელებელი ღუმელის გაფრქვევის მილიდან 320 მ-ით, ხოლო ჯართის მიღება-დამუშავების უბნიდან დაახლოებით 360 მეტრით. მდ. ყვირილა მიედინება ტერიტორიის სამხრეთით 950 მ-ში. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა, სამხრეთით შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული საწარმო და საქართველოს რკინიგზის ცენტრალური მაგისტრალი. ტერიტორიის აღმოსავლეთით განთავსებულია სასათბურე მეურნეობა.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, 2020 წლის 24 თებერვალს, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიის

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „ჯორჯია მეტალს“ საწარმოს მოწყობის სამუშაოები დაწყებული ჰქონდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, რის საფუძველზეც შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ 2021 წლის 24 აგვისტოს (N15101) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოებისა და აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვის ეტაპზე დადგინდა, რომ შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ დაგეგმილი მეტალურგიული საწარმოს მოწყობისთვის უკვე შესრულებული იყო ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად შემდგომი რეაგირების მიზნით, აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 26 ოქტომბერს კვლავ განხორციელდა საწარმოს ტერიტორიის ინსპექტირება, რა დროსაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065773 ოქმი. ამასთან საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ 57-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, შპს „ჯორჯია მეტალის“ მიმართ, დეპარტამენტის მიერ შემუშავდა 2021 წლის 1 ნოემბრის №000277 ადმინისტრაციული მიწერილობა და კომპანიას დაევალა საწარმოს მოწყობის სამუშაოების დაუყოვნებლივ შეჩერება კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვინაიდან გზშ-ის ანგარიში არ იყო წარმოდგენილი ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სადაც შეფასებული და გაანალიზებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიაზე ამჟამად არსებული მდგომარეობა და მოსალოდნელი, შესაძლო ზემოქმედების სახეები, ამასთან ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე გამოვლენილი იქნა სხვა ხარვეზები, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც წერილობით აცნობა შპს „ჯორჯია მეტალს“.

შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ მეტალურგიული საწარმოს გზშ-ის ანგარიშზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი იყო სოფ. არგვეთას მოსახლეობის პროექტთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები, წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ რამდენიმე თვე უკანონოდ მიმდინარეობდა საწარმოს მშენებლობა, აღნიშნული ფაქტი შემდგომი რეაგირების მიზნით კვლავ ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომლის მიერ 2022 წლის 17 თებერვალს შპს „ჯორჯია მეტალის“ კუთვნილ ტერიტორიაზე განხორციელებული სამუშაოების დათვალიერება/შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 1 ნოემბრის №000277 ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენის შემდგომ, კომპანიას საწარმოს მოწყობისათვის დამატებით არ აქვს ჩატარებული სამუშაოები.

გზშ-ის ანგარიშში განხილულია საწარმოსთან დაკავშირებული შემდეგი ალტერნატიული ვარიანტები: არაქმედების ალტერნატივა, საწარმოს განთავსების ალტერნატივები და

ტექნოლოგიური ალტერნატივები შესაბამისი დასაბუთებით. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს განთავსების ტერიტორია შეირჩა პროექტის დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე. შერჩეულ ალტერნატივასთან ერთად ანგარიშში განხილულია ორი დამატებითი ალტერნატივა. პირველი ალტერნატიული მიწის ნაკვეთი განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ჩოლაბურის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 165 მეტრით. ტერიტორიის მიმდებარედ განთავსებულია ქვიშა-ხრემის სამსხვრევ-დამხარისხებელი და ასფალტის საწარმოები. ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრება მდ. ჩოლაბურის კალაპოტი, რომლის მეორე ნაპირზე განთავსებულია მეტალურგიული საწარმო, ბეტონის კვანძი და სხვა სახის საწარმოები. ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული ალტერნატივის უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ არ არის მოწყობილი ნაკვეთამდე მისასვლელი გზა, ტერიტორიაზე არ არსებობს ელექტროენერგია. ტერიტორიის დიდი ნაწილი დაფარულია წყლით და შესაძლებელია დადგეს მისი დაშრობის აუცილებლობა, მდ. ჩოლაბურის სიახლოვიდან გამომდინარე, შეინიშნება სანაპირო ზოლის ეროზია და სხვა. მეორე ალტერნატიული მიწის ნაკვეთი განთავსებულია სოფ. პირველი სვირის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს და საჭიროებს კატეგორიის შეცვლას, ასევე მშენებლობის დაწყებამდე მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნა-დასაწყობებას. მის ირგვლივ განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულები. ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი მოსახლის საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 650 მეტრით. ცენტრალური გზიდან შედის ტერიტორიაზე მისასვლელი გზა (სიგრძე 15 კმ), რომელიც გაივლის ორ დასახლებული პუნქტს. პირველ დასახლებულ პუნქტში გადის ასფალტით დაფარული გზა, გზიდან საცხოვრებელი სახლების დაშორება შეადგენს 3-დან 35 მ-მდე. მეორე დასახლებულ პუნქტში გადის გრუნტის გზა, რაც ზრდის უარყოფითი გავლენის რისკს, გზიდან საცხოვრებელი სახლების დაშორება 18-დან 40 მეტრამდეა. შერჩეული (მესამე) ალტერნატივის უპირატესობად განიხილება: მიწის კატეგორია და მდგომარეობა; მისასვლელი გზის მოხერხებულობა და ცენტრალურ გზასთან სიახლოვე; განთავსება სამრეწველო ზონაში, წლების წინ სამეწარმოდ გამოყენებულ ტერიტორიაზე; საწარმოსათვის საჭირო ინფრასტრუქტურის (ელექტროენერგია, გზა, რკინიგზა,) სიახლოვე. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს პროექტირებისა და მოწყობის დროს გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე დანადგარ-მოწყობილობები, განლაგდება უახლოესი მოსახლეობიდან, კერძოდ დასავლეთის საზღვრიდან მოცილებით.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, პროექტით გათვალისწინებულია ერთი მთლიანი საწარმოო კორპუსის მშენებლობა, რომელიც გაყოფილი იქნება ორ საამქროდ: სადნობად და საგლინავად. საწარმოო უბნები შედგება შემდეგი უბნების და ძირითადი მოწყობილობებისგან: ჯართის განთავსებისა და დამუშავების უბანი; კაზმის მომზადების და მიწოდების უბანი; დნობის უბანი; ჩამოსხმის უბანი; ნამზადის გაციების უბანი; აირგამწმენდი უბანი; გამაცხელებელი ღუმელი; გლინვის უბანი; სასაწყობო ფართი; წყლის მომზადებისა და მიწოდების უბანი და ჩამდინარე წყლების წმენდის უბანი. ჯართის მიღება-მომზადების უბნის მოწყობა დაგეგმილია ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ტერიტორიასთან მისასვლელი გზის მხარეს. ნედლეულის (ჯართის) მოსამზადებლად გამოყენებული იქნება საჭრელი, საპრესი დაზგები, ჯოჯგინა,

გრეიფერული და მაგნიტური ამწეები. ჯართის მიღების უბნის დაკავებული ფართობი იქნება 1 ჰა, ტექნოლოგიური მოედანი მოპირკეთებული იქნება არმირებული ბეტონით.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ინდუქციური ღუმელის ფუნქციონირების პირობებში საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 415 000 ტ ფოლადის სხმულის და 400 000 ტ სხვადასხვა კვეთის არმატურის დამზადება. საწარმოში პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია სამი იდენტური, 27 ტ/სთ წარმადობის ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება. თუმცა, საწარმოში ერთდროულად იმუშავებს მხოლოდ ორი ღუმელი (ჯამში 54 ტ/სთ წარმადობა). გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში დაიწყება მონტაჟი და ექსპლუატაციაში შევა, ერთი 38.5 ტ/სთ წარმადობის ელექტრორკალური ღუმელი, რომელიც ჩაანაცვლებს ინდუქციურ ღუმელებს. ელექტრორკალური ღუმელის პირობებში დაგეგმილია წელიწადში 300 000 ტ ფოლადის სხმულის წარმოება. ინდუქციური ღუმელის პირობებში კაზმის რაოდენობა შეადგენს 485 000 ტ/წელიწადში, ელექტრორკალური ღუმელის პირობებში - 315 000 ტ/წელიწადში. ინდუქციური ღუმელის პირობებში თხევადი ლითონის რაოდენობა იქნება 423 000 ტ/წელიწადში, ხოლო ელექტრორკალური ღუმელის პირობებში 305 000 ტ/წელიწადში. ინდუქციური ღუმელის მოცულობაა 30 ტონა, ხოლო ელექტრორკალური ღუმელის - 60 ტონა.

არმატურის გლინვის უბანზე გათვალისწინებულია 400 000 ტ/წელ წარმადობის ერთი ხაზის დამონტაჟება, რომელსაც მოემსახურება ერთი გამაცხელებელი ღუმელი.

საწარმოს ძირითადი საამქროები იმუშავებენ წელიწადში 330 დღიანი, სამცვლიანი, 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით. ხოლო, ადმინისტრაცია კვირაში 5 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. მშენებლობის ეტაპზე საჭირო მასალების (ბეტონი, არმატურა და სხვ.) შემოტანა მოხდება უახლოესი საწარმოებიდან. მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება 50-100 ადამიანი. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებული იქნება 680 ადამიანი.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, მეტალურგიული საამქროსთვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს რკინის ჯართი. საწარმოს ტერიტორიაზე რკინის ჯართის შემოტანა განხორციელდება ავტოთვიტმცლელების საშუალებით, ადგილობრივი ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან. წლის განმავლობაში დაგეგმილია 315 000-დან 485 000 ტონამდე ჯართის გადამუშავება. გარდა ამისა, სხმულების მისაღებად საჭიროა სხვადასხვა მასალებისა და აღმდგენების დამატება, რომელთა შექმნა განხორციელდება უახლოესი ობიექტებიდან. არმატურის საამქროსთვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს ფოლადის ოთხკუთხა კვეთის სხმული (ნამზადი), რომლის წარმოება მოხდება სადნობ უბანზე ან შემოიზიდება სხვა მეტალურგიული საწარმოებიდან.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოები მოიცავს მიწის სამუშაოებს, რკინაბეტონის სამუშაოებს და ლითონის კონსტრუქციების მონტაჟს. ამ ეტაპზე მიწის სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ტერიტორია მოსწორებულია. წყლის გაგრილების სისტემის ავზი მოწყობილია, ასევე შესრულებულია რკინაბეტონის სამუშაოების ნაწილი, ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაფარულია არმირებული ბეტონის ფენით. მოწყობილია გლინვის უბნის, მექანიკური უბნისა და წყლის გაგრილების სისტემის რკინაბეტონის კონსტრუქციები. გამართული და დამონტაჟებულია გლინვის უბნის, პროდუქციის სასაწყობო უბნისა და დამზარე მექანიკური უბნის რკინის კონსტრუქციები,

შენობის დიდი ნაწილი შემოსილია პროფილირებული ლითონის ფურცლით. შესასრულებელია დნობის უბნის რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები, ჯართის მიღება-დამუშავების მოედნის მოწყობის სამუშაოები, შიდა გზებისა და მოედნების სამუშაოები. ტექნოლოგიური დანადგარების სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდება ძირითადი კორპუსების მშენებლობის დასრულების შემდეგ. ტექნოლოგიური პროცესები მთლიანად განთავსებული იქნება დახურულ შენობაში, გარე ტერიტორიაზე ნედლეულის ბაქანი და შიდა გზები დაფარული იქნება არმირებული ბეტონის ფენით. საწარმოს მთელი ტერიტორია შემოღობილი იქნება მყარი, მასიური ღობით.

ფოლადის მისაღებად წარმოების პირველი ეტაპია ჯართის მიღება-მომზადება, ნედლეულის მომზადების ეტაპია ჯართის გადარჩევა დახარისხება, რომელიც მიმდინარეობს ღია ბაქანზე. ჯართის მიღება-მომზადების უბანზე განთავსდება 6 გრეიდერული ამწე (მანიპულატორი), ორი პრესმაკრატელი. მანიპულატორების საშუალებით იწარმოებს ჯართის გადმოტვირთვა ავტოთვითმცლელიდან და განთავსება ბაქანზე. ბაქნებიდან ჯართი გრეიდერული ამწის საშუალებით მიეწოდება პრესმაკრატლებს, რომელიც უზრუნველყოფს დიდი ზომის ჯართის დაჭრას, დაპრესვას. დაჭრილი და დაპრესილი ჯართი ამწეებით გადაიტანება კაზმის მომზადების უბანზე. შემდეგ წიდაწარმომქმნელ დანამატებთან (კირი, დოლომიტი) და ნახშირბადშემცველ მასალებთან ერთად მიეწოდება ღუმელებს. გამდნარი ლითონი სადნობი ღუმელის ამობრუნებით გადმოსხმება ფოლადის ციხვში, ნადნობის დამუშავების დრო შეადგენს 30 წთ-ს. დამუშავების პროცესში დაჟანგვისა და ლეგირებისთვის ემატება შესაბამისი დანამატები: ფეროსილიკომანგანუმი, ფეროსილიციუმი, სილიციუმი და ალუმინი. ამის შემდეგ ლითონი გადაეცემა უწყვეტი ჩამოსხმის მანქანას, სადაც კრისტალიზატორების მეშვეობით ხდება ნამზადის მიღება. თხევადი ლითონი გაივლის შესაბამისი კვეთის ჰორიზონტალურ მილში, რომელშიც გრილდება წყლის საშუალებით და იჭრება შესაბამის სიგრძეზე. აღნიშნული პროცესის შემდეგ უკვე ხდება პროდუქციის დასაწყობება, რეალიზაცია ან/და საჭიროების შემთხვევაში ნამზადის გლინვის უბნისთვის მიწოდება. აღსანიშნავია, რომ დნობის პროცესში სითბოს მიღება ხდება ელ. ენერჯის ხარჯზე.

არმატურის მიღების ტექნოლოგიური პროცესი კი ითვალისწინებს გამახურებელ ღუმელში ნამზადის 1200°C-ზე მეტად (პლასტიურობის დონემდე) გახურებას და საგლინავ დგანზე მიწოდებას, სადაც ის თანმიმდევრობით გაივლის რამდენიმე სხვადასხვა კვეთის თვალაკს. თვალაკების რაოდენობა და ზომები დამოკიდებულია ნაგლინის ტიპსა და საბოლოო დიამეტრზე. ნამზადებიდან მიიღება საჭირო პროფილის და ზომის ნაგლინი. საწარმოო ციკლის ბოლოს ხდება წყლის მეშვეობით მისი წრთობა და მაკრატლებით ჭრა. სტანდარტულ ზომებზე დაჭრილი პროდუქცია კონვეიერის მეშვეობით იკვრება საჭირო რაოდენობად, ეტიკეტირდება მარკის შესაბამისად. შეკრული და მარკირებული პროდუქცია განთავსდება საწყობებში. გლინვის უბანზე ფოლადის გასახურებლად გამოიყენება ბუნებრივი აირი. საწარმოს გაზომომარაგება განხორციელდება არსებული მაგისტრალური ქსელიდან.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ტექნიკური დანიშნულებით, წყლის გამოყენება მოხდება მეტალურგიულ საამქროში ღუმელების გასაგრილებლად, ნამზადის უწყვეტი ჩამოსხმის ხაზზე კრისტალიზატორის გაგრილების სისტემაში, გლინვის უბანზე ნაგლინის გასაგრილებლად, ასევე ტერიტორიის დასანამად. ღუმელების გაგრილების სისტემასა და

კრისტალიზატორში გამოყენებული წყალი უნდა პასუხობდეს სათანადო მოთხოვნებს, ამიტომ საწარმოში მოეწყობა წყლის მომზადების მეურნეობა, სადაც მოხდება ტექნიკური წყლის წინასწარი დარბილება. ცხელი წყლისათვის მოეწყობა გამაგრილებელი სისტემა (ე.წ. შხეფსაცივარი), რის შემდეგაც წყალი ისევ დაბრუნდება სისტემაში. საწარმოო პროცესში გამოყენებული წყალი ჩართული იქნება ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში და საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

ობიექტის წყალმომარაგება (ტექნიკური, სამეურნეო) გათვალისწინებულია მიწისქვეშა ჭაბურღილებიდან, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე. რაც შეეხება სასმელ წყალს, როგორც ანგარიშშია აღნიშნული შექმნილი იქნება შესაბამისი კომპანიებისაგან. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, რომლის წარმადობა იქნება დღე-ღამეში 17 მ<sup>3</sup>, რომელიც უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების სრულ ბიოლოგიურ წმენდას. გამწმენდი ნაგებობის მონტაჟი, გამართვა და მომსახურება განხორციელდება კომპანია „KANN PROJECT“-ის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე. გამწმენდში დაგროვილი ბიომასის (ნალექის) ამოღება მოხდება ასენიზაციის საშუალებით, კონტრაქტორი კომპანიის მიერ. გამწმენდიდან გამოსული წყალი მიეწოდება სუფთა წყლის შემკრებ ავზს, საიდანაც წყალი გამოყენებული იქნება საწარმოო მიზნებისათვის, მაქსიმალური რაოდენობა 15,3 მ<sup>3</sup>-დღეში. საწარმოდან ზედაპირული წყლის ობიექტში მოხდება სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება. სანიაღვრე წყლების ორგანიზებული შეკრება გათვალისწინებულია ჯართის მიძღებ და დახარისხების ბაქანზე, რისთვისაც დაბინძურების რისკის მქონე მოედნებზე მოეწყობა წყალშემკრები სისტემა. სანიაღვრე წყლების გაწმენდა მოხდება მექანიკურ გამწმენდ ნაგებობაში. სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი შედგება ორი ნაწილისაგან, ვერტიკალური და ჰორიზონტალური სალექარებისაგან, რომლის საპროექტო წარმადობა შეადგენს 18 ლ/წ (ეფექტურობა 96-98%). ვერტიკალურ სალექარში მოხდება ნავთობპროდუქტების გამოცალკევება. სალექარში მოხდება ასევე შეწონილი ნივთიერებების მოშორება. სალექარის შემდეგ წყალი გაივლის ქვიშის ფილტრებს. გაწმენდის ეფექტურობა იქნება 96-98%. სალექარიდან გამოსულ ჩამდინარე წყალში შეწონილი ნივთიერებების რაოდენობა არ გადააჭარბებს 40 მგ/ლ-ს, ხოლო ნავთობპროდუქტების რაოდენობა 1 მგ/ლ-ს. გაწმენდის შემდეგ სანიაღვრე ჩამდინარე წყლები სანიაღვრე არხის გავლით, ჩაშვებული იქნება მდ. ჩოლაბურში (X-329440, Y-4669482).

საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევას. გზმ-ის ანგარიშსა და თანდართული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. იდენტიფიცირებულია საწარმოს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), აზოტის ოქსიდები, ნახშირჟანგი, მეთანი, რკინის ოქსიდი, ტყვია, კადმიუმი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, ქრომი, სპილენძი, ნიკელი, თუთია. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონურ

მაჩვენებლბად, გათვალისწინებულ იქნა გაფრქვევები შპს „ჯი თი ემ გრუპის“ საწარმოდან, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაციები, როგორც ინდუქციური ღუმელების, ისე ელექტრორკალური ღუმელის ფუნქციონირების რეჟიმებისას, არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს უახლოეს მოსახლესთან. შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. ამასთან, გზმ-ის ანგარიშში მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ღუმელში ჯართის ჩატვირთვისას, ღუმელებში დნობისას, ციცივიღუმელიდან და უწყვეტი ჩამოსხმის მანქანებიდან წარმოქმნილი აირმტვერნარევის გაწოვისთვის გათვალისწინებულია 99% ეფექტურობის მტვერდამჭერი სისტემის მოწყობა, რომელიც შედგება ციკლონისა (რომელიც გამოიყენება, ასევე, ნაპერწკალჩამქრობად) და სახელოებიანი ფილტრებისგან. გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, აირგამწმენდი სისტემის სიმძლავრე იქნება 1000000 მ<sup>3</sup>/სთ, რომელსაც მოემსახურება 3 ვენტილატორი (კვამლგამწოვი), თითოეულის 570 000 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობით. მათგან ორი იქნება მუშა მესამე სათადარიგო. გარდა ამისა, სისტემაში გამოყენებული იქნება მარეგულირებელი და ავარიული სარქველების სისტემა. გაწმენდილი აირმტვერნარევი მიეწოდება 30 მ-ს სიმაღლის და 4 მ დიამეტრის მილს, რომლის მეშვეობითაც გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში.

საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება. მშენებლობის ეტაპზე ხმაური მოსალოდნელია სამშენებლო მასალების შემოზიდვის, მიწის საექსკავაციო სამუშაოების დროს, მიმღე ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის მუშაობის შედეგად. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ის საწარმოო უბნები სადაც დარჩენილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 300 მ-ით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გათვლების თანახმად, საწარმოს მშენებლობის ეტაპზე ხმაურის დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან არ გადააჭარბებს 38.68 დბა-ს. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაური წარმოიქმნება ჯართის მიღება-ჩამოცლის და დამუშავებისას, გლინვის პროცესისას, სავენტილაციო სისტემების ვენტილატორებისა და ძრავების მუშაობისას. ჯართის მიღებისა და გადამუშავების დროს ხმაურის დონე მერყეობს 90-100 დბა-ს ფარგლებში, საიდანაც უახლოესი მოსახლე დაცილებულია 360 მეტრით, ამასთან გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ჯართის მიღების უბანზე არ განხორციელდება ჯართის თვითმცლელით ჩამოყრა. გადმოტვირთვისათვის დამონტაჟებული იქნება მანიპულატორი, რომლის მიერ დაყრის მაქსიმალური სიმაღლე არ გადააჭარბებს 0,5 მ-ს. გლინვის პროცესში ხმაურის დონე 98-107 დბა-ს ფარგლებშია, რომელიც მიმდინარეობს დახურულ კაპიტალურ შენობაში, შენობის მიმდებარედ ხმაურის დონე იქნება 87 დბა. აღნიშნული წყაროდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგეს 180 მ-ს. სავენტილაციო სისტემების ვენტილატორები და ძრავები განთავსებული იქნება შენობებში, აღნიშნულის მიმდებარედ ხმაურის დონე იქნება 90 დბა-ს ფარგლებში. აღნიშნული წყაროდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგეს 425 მ-ს. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გათვლებით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ტერიტორია შემოღობილი იქნება 2,5 მ სიმაღლის ბეტონის ღობით, უახლოეს საცხოვრებელთან ხმაურის დონე იქნება 18-25 დბა-ს ფარგლებში. გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოს ექსპლუატაციის დაწყებისას

განხორციელდება მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება დამატებითი სხვადასხვა მასალის საიზოლაციო პანელების გამოყენება.

გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე ტერიტორია დაფარული იყო ტექნოგენური ნაყარით, სამშენებლო ნარჩენებით და ღორღით, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერი ფენა შენარჩუნებული არ ყოფილა. საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან ყველა ტექნოლოგიური პროცესი განთავსდება დახურულ, მყარი იატაკით მოპირკეთებულ შენობაში, ჯართის დაგროვება მომზადდება მოხდება მყარ ზედაპირიან ბაქანზე, რომელიც აღჭურვილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით.

საწარმოს მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია სამშენებლო, საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ტერიტორიის მოსწორების და საძირკვლების მოწყობის დროს წარმოქმნილი გრუნტი, გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსასწორებლად. ბეტონის სამუშაოების, ტერიტორიის არმირებისა და ლითონკონსტრუქციების აწყობის დროს დარჩენილი მცირე ზომის არმატურისა და ლითონის ნაჭრები შეგროვდება ცალკე გამოყოფილ ბაქანზე, შემდგომი გამოყენების მიზნით. საწარმოს ექსპლუატაციის დროს ტექნოლოგიური პროცესების ყველა ეტაპზე მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც დაკავშირებულია, როგორც უშუალოდ ტექნოლოგიურ პროცესებთან ისე ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლუატაცია/მომსახურებასთან. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების სახეები, მიახლოებითი რაოდენობები და მათი მართვის საკითხები. დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე წარმოქმნილი ნარჩენები შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში, სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციებს. მეტალურგიული წარმოების შედეგად წარმოიქმნება მეტალურგიული წიდა (10 02 02), რომლის სავარაუდო რაოდენობა იქნება 10000 ტონა. ფიზიკური თვისებები წარმოდგენილია მყარი, მაღალი სიმტკიცის, უხსნადი ნატეხებისა და ლოდების სახით. ელექტრო ფოლადსა და დნობა ღუმელებში წარმოქმნილი წიდა არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს. გზმ-ის ანგარიშის თანახმად, წიდა დროებით დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ მობეტონებულ ბაქანზე, ნაწილი გამოიყენება ელექტრორკალურ ღუმელში კაზმში დასამატებლად, ნაწილი გადაეცემა შესაბამის უფლებამოსილ კომპანიას.

გზმ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პირველ ეტაპზე ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის დღეში სატრანსპორტო ნაკადების რაოდენობა იქნება 40-მდე, სრული დატვირთვის პირობებში გადაზიდვების რაოდენობამ შეიძლება მიაღწიოს დღე-ღამეში 67-ს. საწარმოს საპროექტო წარმადობის მიღწევის პარალელურად, ტვირთბრუნვის მომატებასა და გადაზიდვის არეალის გაფართოებასთან ერთად, მსხვილი და შორი გადაზიდვებისათვის გამოყენებული იქნება სარკინიგზო ტრანსპორტი. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა შემოდის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის დაუსახლებელი მონაკვეთიდან. ცენტრალური გზიდან საწარმომდე არ გაივლის დასახლებულ პუნქტს, უახლოესი მოსახლიდან დაცილებულია 500 მ-ზე მეტ მანძილით. არსებული მდგომარეობით საწარმოს ტერიტორიაზე შემოზიდულია დანადგარების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც განთავსებულია ტერიტორიაზე. ბეტონის შესყიდვა გათვალისწინებულია ტერიტორიის მიმდებარედ არსებული ბეტონის



საწარმოდან, ამიტომ მისი ტრანსპორტირება სატრანსპორტო ნაკადებზე არ აისახება. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც საწარმოს მოწყობის ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის შედეგად ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, ვინაიდან საწარმოს განთავსება დაგეგმილია საწარმოო ზონაში, რომელიც წლების მანძილზე განიცდის ანთროპოგენურ ზემოქმედებას. საკვლევ ტერიტორიაზე სახეობები არ ფიქსირდება. ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში დგას 4 ძირი ჭადრის ხე, რომელთა მოჭრა არ იგეგმება.

საპროექტო საწარმოს მიმდებარედ განთავსებულია შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ფეროშენადნობთა და ბეტონის საწარმო. შესაბამისად, პროექტის განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია კუმულაციური ზემოქმედება. კუმულაციური ზემოქმედებებიდან აღსანიშნავია: მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში, ხმაურის გავრცელება, წყლის გარემოზე ზემოქმედება და საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაზიანება. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბეტონის საწარმო შეწყვეტს ფუნქციონირებას, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ფეროშენადნობთა საწარმოსთან. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ფეროშენადნობთა საწარმოს გაფრქვევების გათვალისწინებით ჩატარებული იქნა მოდელირება, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრა დამაზიანებელი, მათ შორის ჯამური ეფექტის მქონე, ნივთიერებათა, გაბნევის არეალი. წარმოდგენილი შედეგების მიხედვით, დამაზიანებელი ნივთიერებების კონცენტრაციები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არ სცდება ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ფეროშენადნობთა ქარხნის დასავლეთ საზღვართან ჩატარდა ხმაურის დონეების გაზომვა „MASTECH“ ტიპის MS 6700 ხმაურმზომით საიდანაც უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი შეადგენს 430 მ-ს, ხოლო ხმაურის საშუალო დონემ შეადგინა 75 დბა. წარმოდგენილი გათვლების შედეგად კუმულაციური ზემოქმედებით გამოწვეული ხმაური უახლოეს საცხოვრებელ სახლთან არ გადააჭარბებს 27 დბა-ს. ამასთან ანგარიშში აღნიშნულია, რომ ექსპლუატაციის ეტაპზე განხორციელდება ხმაურის ინტენსიური მონიტორინგი, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმო წყალაღებას განახორციელებს მიწისქვეშა ჰორიზონტიდან, სათანადო ლიცენზიის საფუძველზე. საპროექტო საწარმოს სიახლოვეს მდებარე ობიექტები შპს „ჯი თი ემ გრუპი“ და სასათბურე მეურნეობა ასევე სარგებლობენ მიწისქვეშა ჭაბურღილით. მიწისქვეშა ჰორიზონტის ინდივიდუალური ჭებიდან მარაგდება სოფ. არგვეთას მოსახლეობაც. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, აღნიშნული წყალაღების ობიექტები განთავსებულია მიწისქვეშა ჰორიზონტის უხვი კვების რეჟიმის ზონაში, ამდენად საწარმოს წყალაღება ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას წყალშემცველი ჰორიზონტის მდგომარეობაზე. ამასთან, ლიცენზიის გაცემის ეტაპზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნება სალიცენზიო ობიექტი, საჭიროების შემთხვევაში გაცემული იქნება სათანადო რეკომენდაციები წყალმოსარგებლისათვის. ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლა და დეტალური კვლევის ჩატარება უზრუნველყოფილი იქნა შპს „ჰიდროგეოლოგიის საექსპერტო ჯგუფის“ მიერ. კვლევის ფარგლებში განხორციელდა გრუნტის წყლების ნაკადების ჰიდროდინამიკური სქემის შედგენა, ადგილობრივი მოსახლეობის ეზოებში არსებულ

ჭებზე დაკვირვება და მოსახლეობის გამოკითხვა. კვლევის თანახმად, შპს „ჯორჯია მეტალის“ ტერიტორიაზე ჭების ექსპლუატაციის პროცესში, მათი ზემოქმედება საყოფაცხოვრებო ჭებზე მოსალოდნელი არაა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სამინისტრომ უზრუნველყო წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციისა და გზშ-ის ანგარიშის, როგორც სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ისე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ასევე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე განთავსება, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ფეისბუქის გვერდზე, ცენტრის ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 20 იანვარს 13:00 საათზე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა საქარას ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, შპს „ჯორჯია მეტალის“, საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „სამნის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან ყურადღება ძირითადად გამახვილდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე, ასევე გამოითქვა შენიშვნები/მოსაზრებები გარემოსდაცვით საკითხებზეც. მოსახლების კითხვებს/შენიშვნებს უპასუხეს და განმარტებები გააკეთეს შპს „ჯორჯია მეტალის“ და საკონსულტაციო ორგანიზაცია შპს „სამნის“ წარმომადგენლებმა.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი იყო სოფ. არგვეთას მოსახლეობის წერილობითი შენიშვნები, რომელიც შეეხება, კუმულაციური ზემოქმედების საკითხს, მოსახლეობის წერილში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს უკვე მოწყობილია და ფუნქციონირებს ერთი ფეროშენადნობთა ქარხანა, რომლის მიერაც მოსახლეობა უკვე შეწუხებულია ეკოლოგიური პრობლემებით და საპროექტო საწარმოს ფუნქციონირებით ხედავენ საფრთხეს გარემოს არსებული მდგომარეობის გაუარესების კუთხით, წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ისინი არ ენდობიან კომპანიის მიერ ჩატარებულ კვლევებს. წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ხმაურის გავრცელების, მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გავრცელების, წყლის გარემოზე ზემოქმედების და საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურების კუთხით. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია შპს „ჯი თი ემ გრუპის“ ფეროშენადნობთა საწარმოსთან კუმულაციური ზემოქმედების კუთხით. გზშ-ის ანგარიშის თანახმად, დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციები და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე არ სცდება ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს. რაც შეეხება წყლის გარემოზე კუმულაციურ ზემოქმედებას გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შპს „ჰიდროგეოლოგიის საექსპერტო ჯგუფის“ მიერ ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლის შედეგები და შესაბამისი დასკვნა, რომლის მიხედვითაც შპს „ჯორჯია მეტალის“ ტერიტორიაზე ჭების ექსპლუატაციის პროცესში, მათი ზემოქმედება საყოფაცხოვრებო ჭებზე მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები ასევე ეხებოდა კომპანიის მიერ უნებართვოდ განხორციელებულ მოწყობით სამუშაოებს და პროექტის შესახებ მოსახლეობის

არაინფორმირებულობას. როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 8 ოქტომბერს და 2022 წლის 20 იანვარს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვედა საქარაში. განხილვების შემდეგ განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, ტერიტორიის დასურათება და ვიზუალური შეფასება. 2021 წლის 8 ოქტომბერს, საჯარო განხილვის შემდეგ, საპროექტო ტერიტორიის ადგილზე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისთვის უკვე შესრულებულია ძირითადი სამშენებლო სამუშაოები და აღნიშნული ინფორმაცია ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. აღნიშნულის გათვალისწინებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. ზემოაღნიშნულ საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სოფ. ქვედა საქარას, სოფ. არგვეთას მაცხოვრებლები და სხვა დაინტერესებული საზოგადოება. ამასთან, პროექტის შესახებ წერილობითი შენიშვნები სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო სოფ. არგვეთას მაცხოვრებლების მიერ, რაც ასევე ადასტურებს მათ ინფორმირებულობას. ასევე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ საწარმოს ტერიტორიის შესწავლა/დათვალიერების შედეგად სხვადასხვა დროს გამოვლინდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევები. ამასთან შედგენილ იქნა ადმინისტრაციული მიწერილობა და კომპანიას დაევალა არ განახორციელოს საქმიანობა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

ვინაიდან საწარმოს ტერიტორია მდებარეობს დასახლებული პუნქტისა და საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს, ასევე დაინტერესებული საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით, სამინისტრომ 2022 წლის 28 მარტის N3010/01 წერილის საფუძველზე შეაჩერა ადმინისტრაციული წარმოება და კომპანიის მხრიდან მოითხოვა აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით საწარმოს გავლენის ზონაში არსებულ მოსახლეობასთან კომუნიკაციის (მათთან შეთანხმების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული წერილის (N 3010/01) პასუხად, შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (წერილი N12956 23.05.2022). აღნიშნულ განცხადებაში სხვა საკითხებთან ერთად აღნიშნულია, რომ კომპანიის წარმომადგენლები 2022 წლის 27 იანვარს შეხვდნენ მოსახლეობას და მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნა იყო უპირობოდ ფულადი ანაზღაურების მიღება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ წერილობით (წერილები: N21/2098 (30.05.2022) და N21/3518 (15.07.2022)) მიმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას, რათა წარმოედგინათ მუნიციპალიტეტის და მოსახლეობის შეჯერებული პოზიცია შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფ. არგვეთას ტერიტორიაზე დაგეგმილ მეტალურგიულ საწარმოსთან დაკავშირებით. ამასთან მუნიციპალიტეტთან გაგზავნილ იქნა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილი ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. არგვეთას მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, საჯარო განხილვის ოქმი და შპს „ჯორჯია მეტალის“ 2022 წლის 23 მაისის N12956 განცხადება.

აღნიშნული წერილების პასუხად, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა წერილი (N22-2223053146), რომლის თანახმად მუნიციპალიტეტის

ჩართულობით არაერთგზის განხორციელდა მოსახლეობის შეკრება-გამოკითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წერილის თანახმად, მხოლოდ რამდენიმე კომლის წარმომადგენელი გამოხატავს ზეპირსიტყვიერ უკმაყოფილებას, ხოლო მათ უმრავლესობას საწარმოსთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნია. წერილში აღნიშნულია, რომ პროექტთან მიმართებით არანაირი განცხადება, საჩივარი ან სხვა სახის წერილობითი მომართვა ზესტაფონის მერიაში არ განხორციელებულა, ხოლო რაც შეეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას პროექტის მასშტაბიდან და მომავალი სარგებლიანობიდან გამომდინარე, მხარს უჭერს მის დროულ განხორციელებას.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

**აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-5 პუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობის პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
5. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
6. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა მონიტორინგის კონკრეტული გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის ყველა წყაროზე

თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (გაფრქვევის წყაროებზე მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევის ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მოცემული იქნება ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები საწარმოს პერიმეტრზე და უახლოეს მოსახლესთან (სიხშირის, მონიტორინგის წერტილების კოორდინატების და შედეგების სააგენტოში წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით). საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

7. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, უზრუნველყოს ინდუქციურ ღუმელზე აირმტვერნარევის მოცულობითი სიჩქარის და გოგირდის დიოქსიდის (SO<sub>x</sub>) ინსტრუმენტული განსაზღვრა, საწარმოს სრული დატვირთვის პირობებისთვის და შედეგების ექსპლუატაციაში შესვლიდან ორი თვის ვადაში სააგენტოში წარმოდგენა;
8. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართულ დანადგარებსა და სახანძრო უსაფრთხოებაზე მუდმივი მონიტორინგი;
9. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ყველა საწარმოო უბნის ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დასახლებული პუნქტის მიმართულებით და საწარმოს პერიმეტრზე, თვეში ერთხელ უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით, შემდგომი ანალიზის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-შემუშავების მიზნით. შედეგები წარმოადგინოს სააგენტოში წელიწადში ერთხელ;
10. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად. ნარჩენების მართვა უზრუნველყოს სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმისა, ასევე „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
11. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს წიდის მართვის ღონისძიებების კონკრეტული გეგმა-გრაფიკის (დასაწყობების და გამოყენების, ასევე სხვა კომპანიაზე გადაცემის მიზნით გათვალისწინებული წიდის მოცულობების (ცალ-ცალკე) მითითებით) სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე დამატებით გათვალისწინებული იქნება წიდის განთავსების უბანზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დრენირებისა და მართვის დეტალური ღონისძიებები;
12. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს სალექარში წარმოქმნილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის მართვის საკითხების სააგენტოსთან შეთანხმება;
13. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციის ეტაპზე ამტვერების შემცირების მიზნით მშრალ ამინდში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის მორწყვა;
14. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს საწარმოს/მიმდებარე ტერიტორიის გამწვანებითი ღონისძიებების შესახებ

ინფორმაციის სააგენტოსთან შეთანხმება. გამწვანება უზრუნველყოს შეთანხმებული დოკუმენტის შესაბამისად;

15. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების დაცვა;
16. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ყოველკვარტალურად უზრუნველყოს მდ. ჩოლაბურში ჩამდინარე წყლის ჩაშვების წერტილამდე და ჩაშვების წერტილის შემდეგ წყლის ხარისხის მონიტორინგის ჩატარება და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა;
17. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების (მათ შორის, ნავთობპრუდუქტებით დამბინძურებული ჯართის მართვის, ჯართის აალების პრევენციული ღონისძიებების) სააგენტოსთან შეთანხმება. საქმიანობა განახორციელოს შეთანხმებული შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;
18. შპს „ჯორჯია მეტალმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისას გათვალისწინებული დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება ექსპლუატაციის ეტაპზე ნედლეულისა და პროდუქციის ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვის საკითხი და ნედლეულის მარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება;
19. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;
20. შპს „ჯორჯია მეტალმა“ საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს თავდაპირველ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა;
21. შპს „ჯორჯია მეტალმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
22. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯორჯია მეტალს“;
23. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯორჯია მეტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
24. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
25. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო